# კოსმოსში ბედნიერ შეხვედრას გისურვებთ!

### „სოიუზ-19“-მა სტარტი აიღო

გუშინ 15 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით ბაიკონურის კოსმოდრომიდან სტარტი აიღო კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-19“. ხომალდში არიან კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი.

### 7 საათისა და 30 წუთის შემდეგ

კანავერალის კონცხიდან (აშშ) კოსმოსში აფრინდა კოსმოსური ხომალდი „აპოლონი“, რომლის ეკიპაჟს თ. სტაფორდი ხელმძღვანელობს.

ამ ხომალდებმა დედამიწაზე სტარტი იმიტომ აიღეს, რომ კოსმოსში შეხვდნენ ერთმანეთს. საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების ეს ისტორიული შეხვედრა ამ ორი სახელმწიფოს ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების დიდ სიმბოლოდ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის ახალ მძლავრ ნაბიჯად მოგვევლინება.

* * *

სურათზე: ხომალდების „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ეკიპაჟები ჰიუსტონში (აშშ) ვარჯიშის დროს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 140 (5430)

16

1975 წ. ივლისი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ტაქტიკა მძლავრი იარაღია

არავის ეჭვებოდა, რომ სპრინტერთა რბოლის ფინალში თბილისის ველოდრომზე ს. კრავცოვი (უკრაინა) და ა. იაბლუნოვსკი (მოლდავეთი) გავიდოდნენ. კრავცოვისა და იაბლუნოვსკის დავას რამდენიმე წლის ისტორია აქვს, მაგრამ ამ დავაში ერთგვარი უპირატესობა უკრაინელი სპრინტერის მხარესაა. თუმცა, ხელაღებით იმის თქმას, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში უმაღლეს ტიტულს კრავცოვი დაეპატრონებოდა, ვერავინ ბედავდა თუნდაც იმიტომ, რომ ორივე მეტოქე თბილისის სტარტებისთვის კარგად იყო მომზადებული.

გუშინწინდელ რბოლებს უნდა დაესახელებინა არა მარტო სპარტაკიადის, არამედ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონიც. საქმე ისაა, რომ ამ უკანასკნელი წოდებისთვის ბრძოლა ველოსიპედისტებმა რამდენიმე თვის წინათ დაიწყეს. მაშინ თბილისში კრავცოვმა გაიმარჯვა და ამისთვის მან, ისევე როგორც II ადგილზე გასულ იაბლუნოვსკის, ქულათა გარკვეული რაოდენობა დაერიცხა. ერევანში, სადაც სპრინტერთა შეჯიბრების მეორე ტურის სტარტები მოეწყო, პირველი იაბლუნოვსკი იყო. მასვე ორი ეტაპის ჯამში 58 ქულა დაუგროვდა. კრავცოვი 2 ქულით ჩამორჩებოდა.

და აი, მესამე, გადამწყვეტ ეტაპს ბოლოს და ბოლოს წერტილი უნდა დაესვა ამ საინტერესო დუელისთვის.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ბრძოლის სიუჟეტი გუშინწინ ზუსტად ისე განვითარდა, როგორც სპეციალისტთა უმეტესობავარაუდობდა. იაბლუნოვსკიმ ორივე სერია მოუგო ახალგაზრდა, უდავოდ პერსპექტიულ ო. გუდიმს (რსფსრ), ხოლო კრავცოვმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ლენინგრადელი ვ. სემენეცი. მაგრამ ნახევარფინალურმა სერიებმა ერთი არსებითი ნაკლი გამოავლინა კრავცოვის ტაქტიკაში. ეს ნაკლი, რა უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, გამოწვეულია უკრაინელი ველოსიპედისტის კარგი ფიზიკური მონაცემებით. დიახ,

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: VI სპარტაკიადისა და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი სპრინტში ა. იაბლუნოვსკი.

შ. ზარგარიანის ფოტო.

## სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა

# გაიმარჯვა უზბეკმა მხედარმა

**კიევი, 14 ივლისი.** (საქდესი). „ფახთაქორის“ (უზბეკეთი) წევრი შ. ისმაილოვი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედლით ცხენოსნურ სამჭიდში უფროსი ასაკის ცხენებით შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის. უზბეკი მხედრის წარმატება საგულისხმოა იმიტომაც, რომ ფაქტიურად საველე გამოცდის შემდეგ (სამჭიდის მეორე სახეობა) მას მეტოქე აღარ ჰყავდა, ვინაიდან სულ 8 საჯარიმო ქულა მიიღო.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე და მესამე საფეხურები შესაბამისად დაიკავეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ს. როგოჟინმა და პ. გორნუშკომ.

ცხენოსნურ სპორტში შეჯამდა ასპარეზობის შედეგები საერთო გუნდურ ჩათვლაში. სპარტაკიადის ჩემპიონები პირველად გახდნენ რუსეთის ფედერაციის ცხენოსნები. II ადგილზე არიან უკრაინის წარმომადგენლები. წინა სპარტაკიადაში გამარჯვებული მოსკოველები III ადგილს დასჯერდნენ. შემდეგ მოდიან უზბეკეთის, მოლდავეთისა და ყაზახეთის გუნდები.

# „დიდი პრიზი“ — კალიტას

**კიევი, 14 ივლისი.** მოსკოველმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. კალიტამ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ცხენის გაწვრთნაში „დიდი პრიზის“ პროგრამით: ვერცხლის ჯილდო ე. პეტუშკოვას (რსფსრ) ხვდა, ხოლო ბრინჯაოსი — სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონს, ლენინგრადელ ი. კიზიმოვს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველმა მხედრებმა. II ადგილზე გავიდა რუსეთის ფედერაციის კოლექტივი, ხოლო III — ლენინგრადელთა ნაკრები. შემდეგ მოდიან: უკრაინა, ბელორუსია, უზბეკეთი, ყაზახეთი, საქართველო.

# საქართველო—ლატვია 95:79

კიევი, 14 ივლისი. კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ტურნირის მესამე დღეს საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა ლატვიის გუნდი — 95:79. ახლა უკვე მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ესტონეთისა და ლატვიის გუნდების შეხვედრას, რომელმაც უნდა გამოავლინოს მთავარი ფინალური ტურნირის ორი მონაწილე (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეს ტრიო სხვა დარჩენილ მატჩებს მოიგებს).

პირველ ჯგუფში დაუმარცხებლად ასპარეზობენ მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები. ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ ვინმემ შეუშალოს ხელი.

რთული სიტუაციაა მეორე ჯგუფში, სადაც დაუმარცხებლად გამოდიან უკრაინისა და ლიტვის გუნდები. მაგრამ ბრძოლაში ალბათ ჩაერევა რსფსრ-ს კოლექტივიც, რომელმაც ერთი შეხვედრა წააგო უკრაინის ნაკრებთან და ახლა მთელ იმედებს ლიტველებთან მატჩზე ამყარებს.

გთავაზობთ მეორე და მესამე კალენდარული დღეების შედეგებს: 13 ივლისი. ლენინგრადი — ბელორუსია 84:66, უზბეკეთი — ყაზახეთი 83:56, ლიტვა — სომხეთი 79:70, რსფსრ — აზერბაიჯანი 86:72, უკრაინა — თურქმენეთი 89:39, მოლდავეთი — ყირგიზეთი 80:62, ლატვია— ტაჯიკეთი 83:70; 14 ივლისი. მოსკოვი — ყაზახეთი 124:73, ლენინგრადი — უზბეკეთი 87:60, რსფსრ — სომხეთი 74:67, ლიტვა — თურქმენეთი 96:38, უკრაინა — აზერბაიჯანი 86:43, მოლდავეთი — ტაჯიკეთი 82:71, ესტონეთი — ყირგიზეთი 79:44.

### გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 2 | 2 | 0 | 227—156 | 2 |
| ლენინგრადი | 2 | 2 | 0 | 171—126 | 2 |
| ბელორუსია | 2 | 1 | 1 | 141—134 | 1 |
| უზბეკეთი | 3 | 1 | 2 | 226—246 | 1 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 3 | 179—282 | 0 |

II ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 3 | 3 | 0 | 303—179 | 3 |
| უკრაინა | 3 | 3 | 0 | 266—162 | 3 |
| რსფსრ | 3 | 2 | 1 | 240—230 | 2 |
| სომხეთი | 3 | 1 | 2 | 222—207 | 1 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 3 | 186—300 | 0 |
| თურქმენეთი | 3 | 0 | 3 | 131—270 | 0 |

III ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 3 | 3 | 0 | 257—171 | 3 |
| საქართველო | 3 | 2 | 1 | 249—220 | 2 |
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 236—229 | 2 |
| მოლდავეთი | 3 | 2 | 1 | 226—207 | 2 |
| ტაჯიკეთი | 3 | 0 | 3 | 195—259 | 0 |
| ყირგიზეთი | 3 | 0 | 3 | 163—240 | 0 |

# ფინალისტები გამოვლინდნენ

## საქართველო — ბელორუსია 6:4

**ტალინი, 14 ივლისი.** დღეს ტალინში გაიმართა შესარჩევი მატჩების ბოლო შეხვედრა საქართველოს და ბელორუსიის გუნდებს შორის. ამ მატჩს უნდა დაესახელებინა მთავარი ფინალური ჯგუფის მეოთხე წევრი. მანამდე ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მოსკოვის, ესტონეთისა და უკრაინის ნაკრებმა კოლექტივებმა, რომლებმაც 3-3 ქულა მოაგროვეს 3-დან.

რა მდგომარეობა იყო საქართველოს და ბელორუსიის კოლექტივების შეხვედრის წინ? საქართველოს ჩოგბურთელებმა იოლად დაამარცხეს სომხეთის, თურქმენეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები. მაგრამ არც ბელორუსიის გუნდი იყო გულხელდაკრეფილი. მანაც ადვილად სძლია მეტოქეებს.

ლიდერთა შეხვედრა, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა საქართველოს ნაკრების გამარჯვებით — 6:4.

მაგრამ დროის მხრივ ეს მატჩი არ ყოფილა სარეკორდო ამ ტურნირში. უზბეკეთისა და ლენინგრადის გუნდებს ნახევარფინალურ მატჩში ურთიერთობის გასარკვევად დასჭირდათ... 8 საათი. ანგარიში „ქულა ქულაზე“ მიდიოდა. როცა საერთო ანგარიში იყო 5:5, ლენინგრადელთა შერეულმა წყვილმა — ანა კრასკომ და ალექსანდრე ივანოვმა გადამწყვეტი პარტია მოუგეს ნინა პროკოფიევასა და სერგეი დიაჩენკოს (11:9, 6:3).

ამრიგად, მოსკოვის, ესტონეთის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები ოლიმპიური სისტემით გაითამაშებენ სასპარტაკიადო მედლებს. ჯგუფებში II ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს შეეცილებიან V-VIII ადგილებს და ა.შ.

გაგაცნობთ მესამე ტურის ტექნიკურ შედეგებს: I ჯგუფი. მოსკოვი — უზბეკეთი 8:3, ლენინგრადი — ტაჯიკეთი 6:2; II. რსფსრ — ყაზახეთი 6:4, ესტონეთი — მოლდავეთი 8:0; III. ლატვია — ყირგიზეთი 8:0, უკრაინა — ლიტვა 7:1; IV. ბელორუსია — სომხეთი 10:0. საქართველოს და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრის შედეგს ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, ხოლო თურქმენეთის ნაკრები იმ დღეს ისვენებდა.

მეოთხე ტურის მატჩები (ვინაიდან IV ჯგუფში ხუთი კოლექტივი ასპარეზობდა, ბუნებრივია, მათ ოთხი ტური გამართეს, ხოლო დანარჩენ სამ ჯგუფში მხოლოდ სამ-სამი მატჩი შედგა): ბელორუსია — თურქმენეთი 7:1, აზერბაიჯანი — სომხეთი 7:1, სომხეთი — თურქმენეთი 8:0.

ამრიგად, ჯგუფებში ადგილები ასე განაწილდა: I ჯგუფი. 1. მოსკოვი. — 3 მოგება, 2. ლენინგრადი — 2, 3. უზბეკეთი — 1, 4. ტაჯიკეთი — 0; II ჯგუფი. 1. ესტონეთი — 3, 2. რსფსრ — 2, 3. ყაზახეთი — 1, 4. მოლდავეთი —0; III ჯგუფი: 1. უკრაინა — 3, 2. ლატვია — 2, 3. ლიტვა — 1, 4. ყირგიზეთი — 0; IV ჯგუფი. 1. საქართველო — 4, 2. ბელორუსია — 3, 3. აზერბაიჯანი — 2, 4. სომხეთი — 1, 5. თურქმენეთი — 0.

# ჯერჯერობით მოულოდნელი არაფერი ხდება

**ლენინგრადი, 15 ივლისი.** (საქდესი). აქ სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით დაწყებულ ფინალურ შეჯიბრებებში სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერობენ ბელორუსიის ტანმოვარჯიშე ქალები (222,2 ქულა) და ლ. ტურიშჩევა (დონის როსტოვი, „დინამო“, 38,15).

დღის უმაღლესი შეფასება — 9,7 ქულა მიიღეს მხოლოდ ტურიშჩევამ თავისუფალ ვარჯიშში და გროდნოელმა ო. კორბუტმა ორძელზე. ეს უკანასკნელი 38,05 ქულით ჯერჯერობით II ადგილზეა. მესამე შედეგი აქვს მოსკოველ ე. საადის — 37,95.

გუნდურ ჩათვლაში II და III ადგილებზე არიან მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის ტანმოვარჯიშე ქალები — 221,9 და 221,15.

დღეს სავალდებულო პროგრამით შეჯიბრება დაიწყეს ვაჟებმა.

# ტაქტიკა მძლავრი იარაღია

დასასრული

კრავცოვი სპრინტერის იდეალური ტიპია — ღონიერი, მიზანსწრაფი, აგრესიული, მაგრამ ამ თვისებებმა და იმის რწმენამ, რომ ნებისმიერი მეტოქის დაძლევა შეიძლება ფიზიკური მონაცემების ხარჯზე, ერთგვარად გააღარიბა კრავცოვის ტაქტიკური არსენალი.

წინათ წინასწარ სერიებში და შემდეგაც, მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებში იგი უმთავრესად ძალის წყალობით იგებდა. ასეთ დროს, როცა ველოსიპედისტი მხოლოდ თავის ფიზიკურ მონაცემებს ეყრდნობა, ტაქტიკა სწორხაზოვანია და მარტივი. სანამ მეტოქეები გამოუცდელები ან აშკარად სუსტნი იყვნენ, ამ ტაქტიკას კრავცოვისთვის წარმატება მოჰქონდა.

მაგრამ იაბლუნოვსკისთან შეხვედრაში ეს იარაღი აღარ გამოდგა ისეთი ბასრი და სასწაულმოქმედი. მოლდაველ სპრინტერს კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს, რაც პირველ ყოვლისა სისწრაფეში გამოიხატება. მაგრამ იგი, ამავე დროს, უფრო მრავალფეროვნად აზროვნებს და, მაშასადამე, ტაქტიკაც უფრო მოქნილი აქვს.

აი, სწორედ ამ მოქნილი ტაქტიკის წყალობით იაბლუნოვსკიმ მოიგო სამიდან ორი რბოლა და ერთბაშად ორი ჯილდო დაიმსახურა — ერთი, როგორც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში გამარჯვებულმა, და მეორე, როგორც სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა.

პირველი სერია მოიგო კრავცოვმა უმთავრესად სისწრაფის ხარჯზე (ბოლო 200 მეტრზე აჩვენა 10,6 წამი). მეორე სერია იაბლუნოვსკის გამარჯვებით დამთავრდა (200 მ — 10,7). როგორც ხედავთ, სისწრაფე ორივე შემთხვევაში საკმარისზე მეტი ჰქონდათ ველოსიპედისტებს. მაგრამ იაბლუნოვსკიმ დაამტკიცა, რომ სპრინტში სისწრაფე არ არის ერთადერთი და გადამწყვეტი ფენომენი. მესამე სერია მან ტაქტიკურად სწორად ააგო, მეტოქე აიძულა ფინიში პირველი პოზიციიდან დაეწყო და ფინიშის ხაზი უფრო ადრე გადაკვეთა. თანაც, სისწრაფე ამ „ოქროს სერიაში“ არც ისე მაღალი იყო — 11,1 წამი.

დრამატული გამოდგა ბრძოლა ბრინჯაოს ჯილდოსთვის გუდიმსა და სემენეცს შორის. ორი სერიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო. მესამე სერიაში გაიმარჯვა უფრო გამოცდილმა სემენეცმა.

— გუნდური რბოლის სტარტი ყველაზე ადრე ტაჯიკეთის კვარტეტმა აიღო. 4 კილომეტრის გავლას მან 4.39,35 მოანდომა. ეს იყო ერთადერთი, შედარებით დაბალი შედეგი. ამ დღეს ასპარეზობის დანარჩენმა 15 მონაწილემ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში გამარჯვებულ ბელორუსიის გუნდზე უკეთესი დრო (4.37,29) აჩვენა.

წინა სპარტაკიადის ფავორიტს შედეგი ჯერ აზერბაიჯანის ნაკრებმა გააუმჯობესა (4.36,21), შემდეგ — თურქმენეთის გუნდმა (4.34,81), მერე რბოლის ლიდერობა ხელთ იგდეს ესტონელებმა (4.32,46). სომხეთისა და ლენინგრადის გუნდების მაჩვენებლები შესაბამისად 4.34,80 და 4.33,70 იყო.

უზბეკეთის ნაკრებმა რამდენიმე წამი ჩამოაკლო ესტონელთა შედეგს (4.31,49). მერე სტარტი აიღო საქართველოს გუნდმა (ვ. ივანოვი, ვ. ფეტისოვი, ნ. პანკრატოვი, პ. სტეცენკო) და აჩვენა მაღალი შედეგი — 4.32,07 (ასეთი დრო საქართველოს გუნდს არასდროს ჰქონია). მაგრამ დაიწყო უძლიერესთა სტარტები და ჩვენი ნაკრების უპირატესობა ნელნელა გაქრა.

ასპარეზობის დებულების თანახმად, გუნდურ რბოლაში შემდგომი ბრძოლის უფლება ენიჭება რვა საუკეთესოს. საქართველოს ველოსიპედისტთა ამოცანა სწორედ ამ რვა საუკეთესო გუნდის სიაში მოხვედრა იყო. ჩვენებს თავი არ დაუზოგავთ საამისოდ, მაგრამ დარჩენილი იყო კიდევ რამდენიმე გუნდი, რომლებიც საერთო კლასიფიკაციით საქართველოს ნაკრებზე მაღლა დგანან.

და აი, ჩვენი ნაკრების შედეგი ჯერ მესამე ადგილზე გადავიდა, მერე მეოთხეზე, მეხუთეზე და ბოლოს მეცხრე აღმოჩნდა. თავისთავად არც ეს მაჩვენებელია ურიგო, მაგრამ მან ფინალისკენ გზა გადაუღობა საქართველოს ოთხეულს.

საბოლოო ჯამში პირველი რვა ადგილი წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ასე განაწილდა: მოსკოვი — 4.26,18, ლატვია — 4.29,28, რსფსრ — 4.29,31, მოლდავეთი — 4.29,39, ყაზახეთი — 4.29,45, უკრაინა — 4.29,56, ბელორუსია — 4.30,10, უზბეკეთი — 4.31,49.

**ნ. ბუზუშვილი.**



— ვამბობდი, ეს წყვილი არ ივარგებს-მეთქი: რესტორანში სულ მაგის ხარჯზე ქეიფობს და ა, აქაც იოლად გამოდის!

კ. პატიაშვილის ნახატი.

# მასპინძელია რიგა

**რიგა, 14 ივლისი.** ლატვიის დედაქალაქში სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ოქროს მედლებისთვის საბრძოლველად თავი მოიყარეს მსოფლიო ჩემპიონებმა ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილმა და ა. კარპოვმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა ტ. პეტროსიანმა, ვ. სმისლოვმა, ბ. სპასკიმ, 20 დიდოსტატმა და 100-ზე მეტმა ოსტატმა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. მასპინძელთა გუნდს სათავეში უდგას კიდევ ერთი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი — მ. ტალი.

დღეს შეჯიბრების ალამი აღმართეს მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა და ა. კარპოვმა.

15 ივლისს ლატვიის სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის რესპუბლიკური ინსტიტუტის ლამაზად გაფორმებულ დარბაზებში დაიწყება შეჯიბრებები სამ ჯგუფში. პირველ ჯგუფში შედიან სომხეთის, ლიტვის, ლატვიის, მოსკოვისა და აზერბაიჯანის კოლექტივები, მეორეში — ლენინგრადის, რსფსრ-ს, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ბელორუსიის წარმომადგენლები, მესამეში — ტაჯიკეთის, ესტონეთის, ყაზახეთის, მოლდავეთის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები. ჯგუფებიდან ორ-ორი გუნდი შევა უძლიერესთა ექვსეულში, სადაც სპარტაკიადის მედლები გათამაშდება.

ყოველ გუნდში 7 ვაჟი და 2 ქალია.

შეჯიბრებები 27 ივლისამდე გასტანს.

**ე. კეხრისი,**
**ი. როხლინი.**
(საქდესის სპეც. კორ.).

# სად არიან თქვენი აღზრდილები, მწვრთნელებო?

VI ადგილი და არც ერთი ჩემპიონი — ასეთი რამ არ ახსოვს საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ისტორიას. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების უცვლელმა პრიზიორებმა (*1956 წ.* — II ადგილი, *1959 წ.* — III, *1963 წ.* — II, *1967 წ.* — I, *1971 წ.* — I) ვერაფრით გაგვახარეს კიევში გამართულ სასპარტაკიადო შეჯიბრებაში და მათთვის შეუფერებელი ადგილი დაიკავეს. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა არა მარტო ვერ გაუძლო ძლიერი კოლექტივების (რსფსრ, უკრაინა, მოსკოვი) მეტოქეობას, არამედ წინ გაუშვა ბელორუსიისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც, რომლებიც წინა სპარტაკიადებში ერთობ უხეიროდ გამოდიოდნენ.

მიზეზი დიდი ხანია ცნობილია. აგერ ორი წელია თავისუფალი სტილის ჭიდაობის სპეციალისტები წერენ, რომ ჩვენში სპორტის ამ სახეობის რეზერვის მომზადების საქმე მოუგვარებელია, რომ მწყობრიდან გასული ვეტერანები ვერ შეცვალა ნიჭიერმა ახალგაზრდობამ. და აი, დადგა გადამწყვეტი შეჯიბრების დრო და ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა კოლექტივის შემადგენლობა შეევსო არც თუ ძლიერი მოჭიდავეებით (განსაკუთრებით დაბალ წონით კატეგორიებში).

ასე იყო თუ ისე, გუნდს მაინც ჰქონდა დაგეგმილი პირველ სამეულში ადგილის დაკავება, მაგრამ კიევის სარბიელი ჩვენებისთვის უიღბლო აღმოჩნდა — მარცხს მარცხი მოსდევდა...

დავიწყოთ პირველი წონიდან (48 კგ-მდე). საქართველოს წარმომადგენელმა ტ. აბსავამ პირველივე შერკინება წააგო ლენინგრადელ გ. ტროევთან. მართალია, მან მეორე შეხვედრაში იმარჯვა, როცა მე-5 წუთზე ხალიჩას გააკრა ტაჯიკეთის გუნდის წევრი ვ. შირმლიანი, მაგრამ ეს იყო და ეს. მომდევნო წრეში აბსავამ ხუთ-ნახევარ წუთში წააგო უკრაინელ ა. ხარიტონიუკთან და ასპარეზობას გამოეთიშა.

მომდევნო წონით კატეგორიაში ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი: აქ გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონები ა. ალახვერდიევი (რსფსრ), რ. დმიტრიევი (მოსკოვი), ნიჭიერი აზერბაიჯანელი სპორტსმენი ტ. ფაშაევი და სხვ. მაღალ ადგილზე გასვლის შანსი ჩვენი გუნდის წევრს ა. სულაქველიძეს არ ჰქონდა, მაგრამ თუ იგი პირველივე შეხვედრას წმინდად წააგებდა სომხეთის წარმომადგენელ ს. ზგოიანთან, არ გვეგონა. მართალია, ქართველმა მოჭიდავემ მეორე დღეს მდგომარეობა გამოასწორა, როცა წმინდად დაამარცხა ს. სიდელნიკოვი (ტაჯიკეთი), მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლაში ნ. ნიკმატულინმა (ლიტვა) აშკარა უპირატესობით მოუგო და სულაქველიძემაც აბსავას ბედი გაიზიარა.

57 კგ-მდე წონით კატეგორიაში კარგად დაიწყო ტურნირი რ. დობორჯგინიძემ. მან ქულებით აჯობა უზბეკ ე. აბდურმანოვს, შემდეგ — ძლიერ უკრაინელ ათლეტს ვ. ჩერტკოვს, ხოლო მესამე წრეში 1 წუთსა და 59 წამში წმინდად დაამარცხა მ. საპაროვი (ყირგიზეთი). როინს სამი წრის შემდეგ 2 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და მეოთხე წრეში დასვენების საშუალება მიიღო, მომდევნო შეხვედრა დობორჯგინიძემ ლენინგრადელ ვ. როდიონოვთან ჩაატარა და პირველი მარცხი იწვნია — აშკარად წააგო შერკინება. შემდეგ იგი კვლავ დამარცხდა, ამჯერად ყაზახ რ. ნურმანოვთან და ტურნირს გამოეთიშა.

მომდევნო წონით კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდა ი. ლეგაშვილი. მან პირველივე შეხვედრა წააგო მოლდაველ ა. ზიორასთან, ხოლო შემდეგ 2 წუთსა და 28 წამში სძლია ლიტველ ფ. სტაიშიუნასს. მაგრამ ლატვიელ გ. კვინთან შეხვედრაში ჩვენი გუნდის წარმომადგენელი თავისივე ფანდის მსხვერპლი გახდა: მეტოქემ მას კონტრილეთი გაუკეთა და წმინდად აჯობა. ლეგაშვილის დამარცხებით ჩვენს გუნდს მესამე მონაწილე გამოაკლდა.

არც 68 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გველოდა უკეთესი ბედი. გ. დგებუაძე პირველ ორ შერკინებაში ძლიერ სპორტსმენებს — მოლდაველ ა. არესტოვს (დაიკავა V ადგილი) და მოსკოველ ტ. სოკაევს (III ადგილი) შეხვდა, ორივე ჭიდილი წააგო და მაყურებლებში გადაინაცვლა.

მომდევნო წონით კატეგორიაში ასპარეზობა კარგად დაიწყო ტ. როსტომაშვილმა, მან სტარტზევე ორი ბრძოლა მოიგო წმინდად — ვ. ონოპკოსთან (ლატვია) და ვ. ტიტარენკოსთან (თურქმენეთი), მესამე წრეში მოულოდნელი მარცხი იწვნია სომეხ ა. აირაპეტიანთან, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა საპრიზო ადგილზე გასვლის შანსს. როსტომაშვილი მიზანთან სულ ახლოს იყო. მომდევნო წრეში მან ქულებით სძლია აზერბაიჯანელ მ. იბრაგიმოვს, მაგრამ დამარცხდა ჰ. ზანგიევთან (უზბეკეთი) და სარბიელი დატოვა.

ლ. თედიაშვილი

ნ. მოდებაძე

მეტს მოველოდით რ. მარსაგიშვილისგან (82 კგ-მდე). მან პირველ წრეში სძლია სომხეთის გუნდის წევრს ა. ილურიძეს, შემდეგ ესტონელი ა. მიტუსი 4 წუთსა და 49 წამში ბეჭებით გააკრა ხალიჩას. მერე მარსაგიშვილმა ქულებით დაამარცხა მოლდაველი ნ. კეინერიანუ, მაგრამ აზერბაიჯანელ ტ. იბრაგიმოვთან და უკრაინელ ვ. პოტაპენკოსთან შეხვედრები წააგო და ასპარეზობას გამოეთიშა.

ვერ იცნობდით ვ. მარშანიას. ჭიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან ამ ათლეტის ძალა. მას ბევრ დიდ ტურნირში გაუმარჯვნია და აქაც, კიევში, 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში ერთ-ერთ ფავორიტად თვლიდნენ. მაგრამ მარშანიამ ძალიან სუსტად იჭიდავა ბ. ტუნგაევთან (რსფსრ) და ლენინგრადელ გ. მინინთან: პირველთან წააგო 1 წუთსა და 26 წამში, ხოლო მეორესთან — 7 წუთსა და 24 წამში. ამგვარად, ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტიც გამოეთიშა ასპარეზობას.

საერთოდ, კიევის სპორტის სასახლის ტრიბუნები ასპარეზობის დღეებში თითქმის ცარიელი იყო. მაგრამ, როგორც კი ინფორმატორი გამოაცხადებდა, ამა და ამ ხალიჩაზე ლევან თედიაშვილი ჭიდაობსო, დარბაზში მყოფი ყველა მაყურებელი სწორედ იქ იყრიდა თავს. ყველას სურდა გამოჩენილი ქართველი ფალავნის ჭიდაობის ნახვა. ლევანი ხომ გუნდის ინტერესებისთვის დათანხმდა მისთვის უჩვეულო წონით კატეგორიაში (100 კგ-მდე) გამოსულიყო, სადაც შეხვედრები ელოდა მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებთან, სწორედ ამ წონაში. უნდა ითქვას, რომ თედიაშვილმა აქაც დაამტკიცა თავისი უბადლო ოსტატობა. მართალია, სტარტზე იგი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, უკრაინელ ვ. გულიუტკინს შეხვდა და დაძაბული ბრძოლა ერთი ქულის სხვაობით (3:4) წააგო, მაგრამ შემდეგ მაღალი ოსტატობა გამოავლინა: 4 წუთსა და 15 წამში წმინდად მოუგო მოლდაველ ს. კრივოის, ასევე წმინდად — ბელორუს ვ. კაპომკინს (4 წუთსა და 44 წამში), ყაზახეთის გუნდის წევრს ვ. კოვალიოვს (46 წამში) და მოსკოველ გ. სტრახოვს (ქულებით).

ფინალში ლევანს ორი შეხვედრა ელოდა — ს. იკაევთან (აზერბაიჯანი) და ი. იარიგინთან (რსფსრ). მანამდე იარიგინი უნდა შეხვედროდა გულიუტკინს და თუ გაიმარჯვებდა, სპარტაკიადის ჩემპიონს დაასახელებდა მისი შეხვედრა თედიაშვილთან (რასაკვირველია, თუ ლევანი იკაევს დაამარცხებდა).

იარიგინი — გულიუტკინი. თავდაპირველად იარიგინი დაწინაურდა და ამ უპირატესობას ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა. მაგრამ რსფსრ-ს წარმომადგენელმა ამ ბოლო წუთში დათმო ოფლით მონაპოვარი და ქულებით დამარცხდა.

თედიაშვილი — იკაევი. იოლად დასაძლევი მეტოქე როდი იყო იკაევი. მან წინა დღეს ქულათა საკმაო სხვაობით (6:2) სძლია გულიუტკინს. ამიტომ მის ბრძოლას თედიაშვილთან ყველა დიდი ინტერესით ელოდა. შეხვედრა მხოლოდ 1 წუთსა და 54 წამს გაგრძელდა: იკაევი ხალიჩაზე ბეჭებით გაკრული აღმოჩნდა. მეტი აღარ უჭიდავია ლევანს, რადგან იარიგინმა მასთან ბრძოლაზე უარი თქვა და თედიაშვილს ვერცხლის მედალი ერგო.

მძიმე წონას ბოლო დღისთვის სამი სპორტსმენი შემორჩა. ესენი იყვნენ ს. ანდიევი (რსფსრ), ნ. მოდებაძე (საქართველო) და კ. ლიივა (ესტონეთი). კარგად იასპარეზა მოდებაძემ. მან ჯერ დაამარცხა თ. ბენდიაშვილი (აზერბაიჯანი), ქულებით აჯობა გ. ბიგაევს (უკრაინა), 5 წუთსა და 34 წამში დაამარცხა თურქმენი ა. ბისულთანოვი, აშკარა უპირატესობით მოუგო მოსკოველ ნ. სკრიპკინს, 2 წუთსა და 5 წამში — ლიივას და ფინალურ ორთაბრძოლაში ანდიევის პირისპირ დადგა. მოდებაძე ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს. პირიქით, ანდიევი თავს უფრო ლაღად გრძნობდა და ქულას ქულაზე აგროვებდა. მოდებაძეს ვერცხლის მედალი ხვდა წილად.

ჩვენი დღევანდელი წერილით თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრების ანალიზზე პრეტენზიას არ ვაცხადებთ. ეს სპეციალისტების საქმეა. იმედია, ისინი გააანალიზებენ ასპარეზობის შედეგებს, გამოიტანენ საჭირო დასკვნებს, გულახდილად ილაპარაკებენ იმაზე, თუ რა გვიშლის მუშაობაში ხელს, დასახავენ შემდგომი საქმიანობის გზებს.

ერთი კი ცხადია და ეს კიევის ტურნირმაც აშკარად გვიჩვენა: თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა სპორტის ამ სახეობაში მუშაობა, თუ რესპუბლიკაში მომუშავე მწვრთნელებმა ძველი, გაცვეთილი გზით განაგრძეს სიარული, თუ ახლავე არ შეუდგნენ ახალგაზრდა ტალანტების ძებნას და მათს დროულად დაოსტატებას, შეიძლება კიევის სარბიელზე მოპოვებული ქულებიც კი სანატრელი გაგვიხდეს.

**ზ. ჯაფარიძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

კიევი.

## რეკორდები

კალის (კოლუმბია) მსოფლიო ჩემპიონატამდე დათვლილი დღეები დარჩა. მომავალი შეჯიბრების ზოგიერთი მონაწილე გადამწყვეტი სტარტების წინ ენერგიას ინახავს, სხვები, რომლებიც გრძნობენ თავიანთს ძალას, შესანიშნავ შედეგებს აღწევენ. მაგალითად, ამერიკელმა ტიმ შოუმ კალიფორნიაში გამართულ შეჯიბრებაში 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 8.09,60 აჩვენა, რაც მსოფლიო რეკორდია.

უწინდელი მსოფლიო მიღწევა მასვე ეკუთვნოდა. იგი 17 წლის მოცურავემ გასულ თვეში დაამყარა — 8.13,68.

ასეთი სტარტის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრესამ ტ. შოუს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ეროვნული ნაკრების დიდი იმედი უწოდა.

## ფეხბურთი '75

### სსრ კავშირის პირველობა

● ●

### II ლიგა I ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" | 16 | 8 | 3 | 5 | 36—25 | 19 |
| „იანგიერი" | 15 | 7 | 4 | 4 | 25—13 | 18 |
| „დინამო" (ბ.) | 15 | 6 | 5 | 4 | 23—15 | 17 |
| „ნეფტიანიკი" | 14 | 7 | 3 | 4 | 22—16 | 17 |
| „მეტალურგი" | 16 | 6 | 5 | 5 | 19—19 | 17 |
| „ჯიზაკი" | 16 | 8 | 1 | 7 | 18—22 | 17 |
| „დილა" | 16 | 7 | 3 | 6 | 20—25 | 17 |
| „სტროიტელი" | 15 | 6 | 4 | 5 | 25—13 | 16 |
| „ლოკომოტ." | 15 | 6 | 4 | 5 | 19—14 | 16 |
| „ფახთაჩი" | 15 | 6 | 4 | 5 | 15—18 | 16 |
| „პროგრესი" | 15 | 6 | 3 | 6 | 23—20 | 15 |
| „ხანკი" | 14 | 4 | 7 | 3 | 17—18 | 15 |
| „ავტომობ." | 16 | 6 | 2 | 8 | 23—26 | 14 |
| „ხაზარი" | 15 | 5 | 3 | 7 | 18—18 | 13 |
| „მერცხალი" | 15 | 4 | 5 | 6 | 11—23 | 13 |
| „დინამო" ზ. | 14 | 4 | 4 | 6 | 18—24 | 12 |
| „შირაკი" | 14 | 4 | 2 | 8 | 17—27 | 10 |
| ფიზკ. ინსტ. | 14 | 3 | 2 | 9 | 5—18 | 8 |

## „ტყავის ბურთის" პრიზზე

### ფოთი

„კოლხიდის" სტადიონზე ტრადიციული ტურნირის ზონალურ ასპარეზობაში ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას, ფოთის, აბაშის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გეგეჭკორის, მახარაძისა და ლანჩხუთის ნორჩი ფეხბურთელები თამაშობდნენ.

უფროსი ასაკის ჯგუფში ფოთის „ძერჟინსკის" (მწვრთნელი ტ. მანია) წევრებმა დაამარცხეს მახარაძის „მერცხალი" (3:0), წალენჯიხის „აისი" (5:0), ცხაკაიას „ტეხურა" (1:0) და ფინალში მოუგეს ლანჩხუთის „გურიას" (5:3).

წარმატება უმცროსი ასაკის ჯგუფშიც ფოთელებს ხვდათ წილად. ადგილობრივმა „ეგრისმა" (მწვრთნელები ბ. ბასილაია, ნ. ლემონჯავა) შეძლო გეგეჭკორის, ცხაკაიას, ლანჩხუთის გუნდების დამარცხება და I ადგილზე გავიდა.

ა. თოფურია.

### გორი

„ტყავის ბურთის" ზონალურ გათამაშებაში მონაწილეობდნენ გორის, გორის რაიონის, ბორჯომის, დუშეთის, ხაშურის, კასპის, ქარელისა და მცხეთის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები.

უფროსი ასაკის ჯგუფში კარგი ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება გამოავლინეს ბამბეულის კომბინატის დასახლების სახლმმართველობის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. გაბუნია), რომლებმაც დამაჯერებლად მოიპოვეს I ადგილი.

წარმატება ხვდათ გორელებს (მწვრთნელი კ. თურაზაშვილი) უმცროსი ასაკის ჯგუფშიც.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, თუმცა ტურნირის ნორმალურ მსვლელობაში ერთგვარი დისონანსი შეიტანა კასპის გუნდმა, რომელსაც ი. ყაზარაშვილი ხელმძღვანელობდა. ჯერ ერთი, კასპელებს რიგზე არ ჰქონდათ საბუთები და ცდილობდნენ სიყალბით გასულიყვნენ ფონს. ამას გარდა, ისინი ხშირად არღვევდნენ დისციპლინას. გორელებთან მატჩში ი. ყაზარაშვილმა თავისი გუნდი 30 წუთის დაგვიანებით გამოიყვანა მინდორზე. ხოლო, როცა შეხვედრის დამთავრებას 20 წუთი აკლდა და წინ მასპინძლები იყვნენ (2:0), მან განკარგულება გასცა, რომ მის ფეხბურთელებს მინდორი დაეტოვებინათ. რა თქმა უნდა, ი. ყაზარაშვილის ეს თვითნებობა ცუდ სამსახურს უწევს ნორჩ ფეხბურთელებს.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

### თერჯოლა

საინტერესოდ მიმდინარეობდა ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობა ორივე ასაკობრივ ჯგუფში.

უფროსი ასაკის ჯგუფში რუფოთის და ალისუბნის გუნდების გადამწყვეტი შეხვედრა მოიგეს რუფოთელებმა — 3:1, ხოლო უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა შეჯიბრებაში რუფოთელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ეწერის გუნდი.

ლ. ჭავთარაძე.

---

# ისევ „შევარდენის" შესახებ

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 136.

ვლადიმერ მდივანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ შევარდენიზმის ზოგიერთი მომავალი იდეოლოგი მენშევიკების ბატონობის წლებში მიზნად ისახავდა „შევარდენის" მენშევიკურ-შოვინისტურ ყაიდაზე გარდაქმნას.

ნება გვიბოძეთ ვიკითხოთ: არსებობდა კი „შევარდენიზმის" იდეოლოგია, რომლის შესახებაც ვ. მდივანი წერს, ან რა იდეოლოგია იყო იგი? მაშინ რისთვისღა იყო საჭირო შევარდენისტების მენშევიკურ-შოვინისტური იდეოლოგიის მიმდევრებად გამოცხადება? რა, საკუთარ „შევარდენიზმის" იდეოლოგიაზე ხელი აიღეს?

პირდაპირ გასაკვირია, რაში დასჭირდა ვ. მდივანს შოვინიზმის ნარლიყით შევარდენისტების შემკობა, როცა შოვინიზმის იდეოლოგია იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული იდეოლოგიაა.

უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო, რომ „შევარდენის" საზოგადოებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი განიცდიდა იდეურ გავლენას ქართველი მენშევიკებისას, რომლებიც თავს მუშათა პარტიად მიიჩნევდნენ და ფორმალურად მხარს უჭერდნენ მარქსიზმს.

ვ. მდივანი წერს: „შევარდენს" ჰქონდა ანტისაბჭოური ემბლემა (სამკერდე ნიშანი). დასასრულ, განა შემთხვევითი იყო ის, რომ უკვე ჩვენს დროში „შევარდენის" ხელმძღვანელებმა ფორმის სარტყელზე მენშევიკური საქართველოს დროშის ფერები გამოიყენეს? ეს ყველაფერი არც ისეთი წვრილმანია, როცა ლაპარაკია „შევარდენის" პოლიტიკურ სახეზე".

ასეთი ემბლემა მართლაც არსებობდა და ასეთი სარტყელიც გაკეთდა „შევარდენის" ზოგიერთი ხელმძღვანელის თაოსნობით, რომლებიც ყველა შევარდენისტის სურვილს როდი გამოხატავდნენ. სწორედ ისაა საქართველოს კომკავშირის დამსახურება, რომ მან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაშალა ბრძოლა ახალგაზრდა თაობაზე ქართული მენშევიზმისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მავნე გავლენის შედეგების ლიკვიდაციისთვის, ახალგაზრდობას ჩამოუყალიბა მარქსისტულ-ლენინური შეგნება.

საქართველოს კომკავშირი დიდ ყურადღებას აქცევდა შევარდენისტთა ხელახალ აღზრდას, აქტიურად იბრძოდა მოსწავლე ახალგაზრდობის იდეური წრთობისთვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სხვა კადრები არ ჰყავდა. იგი იძულებული იყო გამოეყენებინა თვით ნაციონალისტურად განწყობილი, აპოლიტიკური, ზოგჯერ კი აშკარად ანტისაბჭოური სულისკვეთებით გამსჭვალული სპორტის მუშაკები, დაევალებინა მათთვის ახალი კადრების მომზადება. ამ დროს კომკავშირს არ ჰყავდა საკმარისად პოლიტიკურად მომწიფებული კადრები, არ შეეძლო იდეურად სწრაფად განეიარაღებინა ნაციონალისტურად განწყობილი შევარდენისტები.

ზოგიერთი პარტიული და კომკავშირული მუშაკი ულმობლად აკრიტიკებდა საზოგადოება „შევარდენის" მუშაობას, უშვებდა მბრძანებლობის, ადმინისტრირების მცდარ მეთოდებს და ა. შ.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საზოგადოება „შევარდენის" ხელმძღვანელები გ. ნიკოლაძე, გ. ეგნატაშვილი, გ. მერკვილაძე, მ. გორგაძე, ი. ლორთქიფანიძე, ი. მაჭავარიანი, გ. ბერიძე არც ერთ პარტიაში არ ყოფილან. „შევარდენის" ხელმძღვანელთა უმეტესობას შეადგენდნენ დემოკრატიულად განწყობილი პირები, რომლებიც, მიუხედავად ერთგვარი ყოყმანისა, მალე დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების სამსახურის გზაზე და მათთვის ჩვეული ენერგიით წარმართავდნენ სპორტულ მუშაობას საზოგადოება „შევარდენში". ამ შესანიშნავ სპორტსმენებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული, რომ უკვე თავიანთი შემოქმედებით ისინი ობიექტურად ჩვენი პარტიის პოლიტიკის მეგზურები იყვნენ.

უაზრობაა იმის მტკიცება, რომ, მაგალითად, სპორტის ცნობილი მოღვაწენი გ. ნიკოლაძე, გ. ეგნატაშვილი, გ. მერკვილაძე, გ. ბერიძე, ი. ალანიშვილი, დ. ჯავრიშვილი, გ. ბერელაშვილი, თ. ნიკოლაძე, ი. ლორთქიფანიძე, ვ. და ლ. პროკოფიევები, ვ. მაჭავარიანი, ვ. ციციშვილი, გ. ლაფერაშვილი, კ. კაკაბაძე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი იყვნენ. ისინი იყვნენ შემადგენელი ნაწილი ქართული ინტელიგენციისა, რომელმაც თანდათან დაიწყო გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. მათი მსოფლმხედველობა რევოლუციურ გარდაქმნათა გავლენით იცვლებოდა. მართალია, საზოგადოება „შევარდენის" ზოგიერთი ხელმძღვანელი მცდარ პოზიციაზე იდგა. მიუხედავად ამისა, ისინი პატიოსნად შრომობდნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

საქართველოს კომპარტიის გამოჩენილ მოღვაწეებსა და რესპუბლიკის მთავრობას შეეძლოთ ფრთხილად, დიფერენცირებულად მიდგომა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენისადმი, ამ სოციალურ წრეთა ურთიერთობის მრავალგვარი ნიუანსების გამოვლენა. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდობის გონების დაპყრობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით რთული იყო მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, რომელსაც მენშევიკური ნაციონალისტური იდეოლოგია ჰქონდა შეთვისებული. მაგრამ ეს ოდნავაც არ ნიშნავს, რომ ყველა, ვინც ნაციონალისტურ შეცდომებს უშვებს, შეიძლება ხელაღებით უცხოდ, გარეშედ მოვნათლოთ.

„შევარდენის" ორგანიზაციის მოღვაწეობის საკითხი უნდა განვიხილოთ იმ გარდაქმნებისა და ხელახალი პოლიტიკური აღზრდის რთული პროცესის ფონზე, რაც ქართველი ინტელიგენციის წრეში ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ქართული სპორტის განდიდებას საზოგადოება „შევარდენის" ყოფილმა წევრებმაც შეუწყვეს ხელი. სწორედ ისინი ზრდიდნენ და ზრდიან საქართველოს ფიზკულტურელებს 20-ანი წლებიდან მოყიდებული დღევანდლამდე.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველ სპორტსმენთა ერთი ნაწილი, გამოსული „შევარდენის" საზოგადოებიდან, რომელიც პირველ წლებში რევოლუციური საქართველოს მტრად გამოცხადდა, ცილისწამების მსხვერპლი იყო.

ქართველი ისტორიკოსები არ ავლებდნენ ზღვარს „შევარდენის" ზოგიერთ მერყევ, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ მყოფ ხელმძღვანელსა და ამ საზოგადოების წევრ მოზარდებს შორის.

ჩვენი აზრით, არ არის სწორი კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ ახალგაზრდულ ორგანიზაციათა შორის იმ დროისთვის „შევარდენი" გარკვეულ როლს თამაშობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში და საქართველოს კომკავშირის მოწინააღმდეგე იყო. ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან მტრები იყვნენ „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია", სპორტული „სკაუტი" და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ „შევარდენი" რაღაც საშუალო იყო საქართველოს კომკავშირსა და ნაციონალისტურ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის (ვე მხედველობაში მაქვს იდეური გავლენა). შემდგომ „შევარდენის" ბევრი წევრი კომკავშირის რიგებში შევიდა. მათგან ბევრი ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი გახდა.

ოციანი წლების ლიტერატურაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში „შევარდენის" მუშაობის გაშუქების დროს გვხვდებოდა მცდარი, ზერელე გადაწყვეტილებები. ცალკეულ მუშაკთა დასკვნები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და ხშირად მხოლოდ ვარაუდებზე იყო დაფუძნებული.

„შევარდენის" სპორტული ორგანიზაციის შესახებ სწორი წარმოდგენა მხოლოდ მისი მუშაობის ყოველმხრივმა ანალიზმა შეიძლება შეგვიქმნას. ამისთვის საჭიროა საარქივო მასალების გულდასმით შესწავლა. ჩვენი აზრით, გადასინჯვას მოითხოვს დამოკიდებულება უწინ საზოგადოება „შევარდენში" მომუშავე სპეციალისტებისადმი, მოცემული მთელი რიგი ქართველი ისტორიკოსების შრომებში. ზოგი მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ 1921 წლის 26 მაისს შევარდენისტებმა მონაწილეობა მიიღეს ანტისაბჭოთა დემონსტრაციაში. ეს ცნობა მთლად ზუსტი არ არის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ინფორმირებული იყვნენ ანტისაბჭოური დემონსტრაციის მზადების შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმ დღეს მოაწყო ბოლშევიკური მიტინგები, მუშათა კრებები მოედნებზე, კლუბებში, თეატრებში, სადაც სიტყვებით გამოდიოდნენ საქართველოს კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწენი[1]. მართალია, რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდა შევარდენისტების უმნიშვნელო ნაწილი, მართალია, მათ სამფეროვანი კოსტიუმები ეცვათ, რაც სიმბოლურად მენშევიკურ საქართველოს გამოხატავდა, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ შევარდენისტთა გარკვეული ნაწილი, ეს განსაკუთრებით უმცროსი ასაკის სპორტსმენებს ეხებათ, 26 მაისს ქუჩაში იმ მიზნით გამოვიდა, რომ ვარჯიშები შეესრულებინა. ამას ადასტურებს „შევარდენის" ყოფილი მონაწილის, საქართველოს კომკავშირის ვეტერან ვ. მდივნის სიტყვებიც. ის წერს:

„შევარდენში" იცოდნენ ახალგაზრდობის დაინტერესება, იცოდნენ არა მარტო გარეგნული, საჩვენებელი მხარით, არამედ მეცადინეობებით, დადგენილი წესით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ „შევარდენის" წევრთა მეცადინეობის ნახვის მსურველებს ტანვარჯიშულ დარბაზებში თავისუფლად უშვებდნენ..."

„ყველაზე დიდ სიამოვნებას „შევარდენის" საჩვენებელი გამოსვლები გვანიჭებდა..."

საქართველოს კომკავშირმა „შევარდენის" საზოგადოებებში თავისი გავლენის განმტკიცების მიზნით იქ გაგზავნა კომკავშირელები. იქ, სადაც სპორტული ორგანიზაციები არ იყო, ისინი კომკავშირის დახმარებით უნდა შექმნილიყო. 1922 წლის 28 მაისს გაზეთი „პრავდა ზაკავკაზია" ახალციხიდან იუწყებოდა, რომ ახალციხეში პარტორგანიზაციის მონაწილეობით შეიქმნა საზოგადოება „შევარდენი", რომელშიც 50-მდე კაცი გაერთიანდა და აქედან უმეტესობას კომკავშირელები შეადგენდნენ. სპორტისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდებოდა.

1922 წლის მაისის დამდეგს თბილისში შეიქმნა ეგრეთ წოდებული „დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელშიც შევიდნენ მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოური პარტიების წარმომადგენლები. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერ-მუშაკი გ. ჟანგველაძე თავისი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში (გვ. გვ. 64-65) წერს:

„1922 წლის 13 მაისს ამ კლასის პარტიები... მოუწოდებდნენ აღენიშნათ საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადების წლისთავი გაფიცვებითა და დემონსტრაციებით. მაგრამ თბილისში ამ პროვოკაციას სულ რამდენიმე მოსამსახურე აჰყვა, რომლებიც სამუშაოდ არ გამოცხადდნენ. ყველა საწარმო და დაწესებულება ნორმალურად მუშაობდა".

---

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი" № 70, 21 მაისი, 1921 წ.

**შ. აბაჯანოვი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

(დასასრული იქნება).

---

# თბილისელი ჭაბუკების წარმატება

მინსკში ტრადიციულად ეწყობა ნორჩ ფეხბურთელთა საქალაქთაშორისო ტურნირი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს სპორტულ საზოგადოებრიობაში. წლეულს ამ შეჯიბრებაში გამოდიოდნენ მინსკის (3 გუნდი), ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ოდესისა და კიშინიოვის 1960 წელს დაბადებული ჭაბუკები. გათამაშება მიეძღვნა ფაშიზმის ტყვეობიდან ბელორუსიის გათავისუფლების 31 წლისთავს.

შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. თბილისელებმა (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. მამალაძე) დაამარცხეს კიევის (2:0), კიშინიოვისა (2:0) და მინსკის II (4:1) გუნდები. ისინი გავიდნენ ფინალში, სადაც მათთან ერთად მოხვდნენ ლენინგრადის გუნდი და მინსკის ორი კოლექტივი.

გადამწყვეტი მატჩები თბილისელებმა კვლავ დიდი ალმაცლობით ჩაატარეს, დაამარცხეს ლენინგრადელები (3:2), მინსკის I გუნდი — 1:0 (მინსკის II გუნდთან მოგება მათ ფინალში გადაჰყვათ) და მოიპოვეს ტურნირის პირველი პრიზი. შედეგი საუკეთესოა — 10 ქულა 10 შესაძლებლიდან! თბილისის ნაკრები დაკომპლექტებული იყო განათლების განყოფილებისა და ნორჩი დინამოელის ფეხბურთელებით.

გათამაშების საუკეთესო მეკარედ აღიარებულია თბილისელი ა. მეშკოვი, ხოლო ნ. კაკილაშვილმა მიიღო საუკეთესო თავდამსხმელისა და ყველაზე შედეგიანი მოთამაშის ორი პრიზი (7 ბურთი).

ც. ფცქიალაძე.

• • •

**სურათზე:** პირველ რიგში (მარცხნიდან) — ბ. კუნელაური, რ. უჩუმბეგაშვილი, უ. ცქვიტინიძე, ზ. კორკოტაძე, ა. მეშკოვი, თ. კოფოძე, ი. გოგინაშვილი, რ. ზოთაძე; მეორე რიგში — გუნდის მწვრთნელი გ. მამალაძე, ნ. კაკილაშვილი, გ. მესხაძე, ვ. კუზნეცოვი, მ. კაკაბაძე, მ. ჟორდანია, ბ. რატიანი, მ. რაზმაძე, თ. კობიძე, გ. აფხაზავა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ახალი წიგნები

# გზა დავულოცოთ

ამას წინათ გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" რუსულ ენაზე გამოუშვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ადამიანის ანატომიის კათედრის გამგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. თვალაძის „სახელმძღვანელო ადამიანის ანატომიის დაპროგრამირებული სწავლებისათვის". ნაშრომი გათვალისწინებულია იმ უმაღლესი სასწავლებლებისთვის, სადაც ისწავლება ადამიანის ანატომია.

ასეთი წიგნი ქართულ ენაზეც გვაქვს — 1969 წელს გამოცემული „ადამიანის ანატომიის დაპროგრამირებული სწავლებისთვის", მაგრამ იგი აღარ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. მართალია, ეს წიგნი ქართულ ენაზე ხელმეორედ არ გამოსულა, მაგრამ გეგმაში შეტანილია და რატომღაც უგვიანდება დღის სინათლეზე გამოსვლა. არადა, იგი დიდ სამსახურს გაუწევდა ქართველ სტუდენტობას.

მეცნიერების ახალი დარგების განვითარებასთან დაკავშირებით ბოლო წლებში შესასწავლი მასალის შინაარსი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. შეიცვალა მეთოდიკაც, მაგრამ მეცადინეობის ჩატარების ფორმები ძირითადად უწინდელი დარჩა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე შექმნილ სწავლების სისტემას გარკვეული ნაკლი აქვს. ყველა მოსწავლე იღებს განსაზღვრული რაოდენობის ინფორმაციებს, ისმენს ლექციის ერთსა და იმავე ტექსტს, კითხულობს ერთსა და იმავე მასალას სახელმძღვანელოდან. მასალის მნიშვნელოვან ნაწილს მსმენელები სხვადასხვაგვარად ითვისებენ. ხშირად სტუდენტი ისმენს ლექციას ან კითხულობს სახელმძღვანელოს და პასიურად იმახსოვრებს მოცემულ ცნობას. გარდა ამისა, არსებობს ათვისების ხარისხის საკმაო კონტროლი. ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა სწავლების პროცესში ავტომატიზაციის ელემენტების შეტანა?



სასწავლო პროცესის ავტომატიზაციის არსი პირველ ყოვლისა მდგომარეობს დაპროგრამირებულ სწავლებაში, რომლის დროსაც გამოყენებული უნდა იყოს როგორც გამომთვლელი მანქანები, ისე სხვადასხვა ტექნიკური საშუალება. საჭიროა აღინიშნოს, რომ დაპროგრამირებულ სწავლებას, პედაგოგიკაში რაიმე ახალი პრინციპები არ შეაქვს. იგი ეყრდნობა უკვე ცნობილ პედაგოგიურ პრინციპებს. დაპროგრამირებული სწავლების პროცესში ძირითად როლს პედაგოგი ასრულებს. დაპროგრამირებული სწავლება საშუალებას გვაძლევს ავამაღლოთ პედაგოგის შრომის ხარისხი და ცოდნის ათვისების პროცესი უფრო ინტენსიური გავხადოთ. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება განუწყვეტელი კონტროლი სწავლების პროცესში.

როგორც ცნობილია, დაპროგრამირებული სწავლების ძირითად საშუალებას სახელმძღვანელო და ტექნიკური ხელსაწყოები წარმოადგენს. ბოლო წლებში, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ გაცხოველებული მუშაობაა გაშლილი დაპროგრამირებული სწავლებისთვის სრულყოფილი ტექნიკური საშუალებების შესაქმნელად. სსრ კავშირში დიდი მუშაობა ტარდება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ლვოვში, მინსკში, ხარკოვში, თბილისსა და სხვა ქალაქებში, სადაც რამდენიმე ასეული გამომთვლელი მანქანაა შექმნილი და გამოყენებული უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ანატომიის კათედრაზე 1967 წლიდან იყენებენ მთელ რიგ ტექნიკურ საშუალებებს და ელექტროგამომთვლელ მანქანებს, როგორც საგნის შესასწავლად, ისე სტუდენტთა ცოდნის შემოწმებისთვის. საბჭოთა კავშირში და, შეიძლება ითქვას, მის ფარგლებს გარეთაც პირველი დაპროგრამირებული სახელმძღვანელო ადამიანის ანატომიაში პროფესორ გ. თვალაძეს ეკუთვნის.

ამრიგად, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ წიგნს არა მარტო საქართველოში ეყოლება მკითხველი, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. ეს დიდი საქმეა და ჩვენც გზა დავულოცოთ გ. თვალაძის ამ ნაშრომს.

**დ. ბახველი.**



თევზაობის მოყვარულები თბილისის ზღვაზე.

ჯ. კასრაძის ფოტო.

# ოქროს ჯილდო ნაზლიმოვს ხვდა

**ბუდაპეშტი, 15 ივლისი.** (საქტესი). საბჭოთა არმიის ოფიცერმა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა გუნდურ ჩათვლაში, 29 წლის ესპადრონისტმა ვ. ნაზლიმოვმა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვა პირად ტურნირში.

II ადგილი დაიკავა პოლონელმა ი. ბერკოვსკიმ, III — უნგრელმა პ. მაროტმა. ფინალის კიდევ ერთი საბჭოთა მონაწილე, ლენინგრადელი ე. ვინოკუროვი VI ადგილზე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ყველაზე სახელგანთქმული უმუშევარი

ესპანეთის სპორტულმა ჟურნალმა „ას"-მა ასე მონათლა ესპანეთის უპირველესი ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო. მასთან ერთად, შეიძლება ითქვას, მისი წყალობითაც „რეალმა" 1956-1960 წლებში ხუთჯერ მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. შემდეგ დი სტეფანომ ბევრჯერ შეიცვალა მწვრთნელის პოსტი.

მას შემდეგ, რაც ესპანეთის კლუბი „ელჩე" დატოვა, იგი სამშობლოში — არგენტინაში დაბრუნდა, მერე კი ისევ ესპანეთში ჩავიდა, სადაც წარმატებით წვრთნიდა „ვალენსიას". მისი ხელმძღვანელობით გუნდი ჩემპიონი გახდა. შემდეგ ყველაფერი უკუღმა წავიდა... დი სტეფანო დიდი ხანია უმუშევარია. „არავის უნდა ჩემთან საქმე დაიჭიროს. თუ შემდეგშიც ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნები სხვა სამუშაო მოვძებნო", — უთხრა სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა „ას"-ის კორესპონდენტს.

ამას ამბობს კაცი, მწვრთნელი, რომლის ნიჭსა და უნარსაც რეკომენდაციები არ სჭირდება. გუნდებში, რომელშიც იგი თამაშობდა, დი სტეფანო მუდამ დისპეტჩერი იყო თავისი დიდი ტალანტის წყალობით, თავისი ადამიანური ღირსებების შედეგად. მას პატივისცემით უწოდებდნენ „დონ ალფრედოს". მარტო დი სტეფანოს გვარის მოხსენიება რეკლამებში უკვე დიდ შემოსავალს ნიშნავდა.

მაგრამ, როგორც მწვრთნელი, თუნდაც ძალიან ნიჭიერიც, იგი მოსაწონი არ იყო კლუბების პრეზიდენტებისთვის, ვინაიდან თავის მუშაობაში მიისწრაფოდა დამოუკიდებლობისკენ, ინიციატივას იჩენდა. პრეზიდენტები, მეორე მხრივ, ცნობილი არიან თავიანთი დიქტატორული გამოხდომებითა და ჭირვეულობით. შედეგად დონ ალფრედო, რომელმაც, ასე ვთქვათ, ანგარიში არ გაუწია „თამაშის კანონებს", „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა, შავ სიაში მოხვდა და იძულებულია სამუშაო ეძებოს.

(„სოვეტსკი სპორტი", 15 ივლისი).

● ●

### „ბაიერნი" აჯარიმებს...

როგორც მიუნხენის „ბაიერნის" დირექტორატმა გამოაცხადა, იგი ფულად ჯარიმას აკისრებს გუნდის ძირითადი შემადგენლობის ორ ფეხბურთელს — კლაუს ვუნდერსა და იუპ კაპელმანს.

რატომ? იმიტომ, რომ „ბაიერნის" ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ვუნდერი და კაპელმანი ჯერ წაეკინკლავეს ერთმანეთს, შემდეგ კი მუშტი-კრივზეც გადავიდნენ.

● ●

### გარდაიცვალა პეინი

**ინგლისში** 63 წლის ასაკში გარდაიცვალა კლუბ „ლუტონ თაუნის" ყოფილი თავდამსხმელი ჯონ პეინი. პეინმა სახელი გაითქვა იმით, რომ 1936 წელს დაამყარა რეკორდი, რომლის გაუმჯობესება, ალბათ, შეუძლებელიცაა. „ლუტონ თაუნისა" და „ბრისტოლ როვერსის" მატჩი ინგლისის პირველობაზე დასრულდა ანგარიშით 12:0. აქედან 10 (!) ბურთი პეინმა გაიტანა.

# თასების მაძიებლები გამოვლინდნენ

გამოვლინდნენ მძლეოსნური ეროვნული ნაკრები გუნდები — მაძიებლები ევროპის თასებისა, რომლებიც ნიცაში (საფრანგეთი) გათამაშდება 16-17 აგვისტოს. ქალთა პირველ რვა გუნდში შევიდნენ სსრ კავშირის, რუმინეთის, გფრ-ის, პოლონეთის, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, გდრ-ისა და საფრანგეთის კოლექტივები. ორი უკანასკნელი ნაკრები ფინალში ნახევარფინალურ შეჯიბრებათა შედეგების გაუთვალისწინებლად შევიდა: პირველი, როგორც თასის მფლობელი, მეორე — როგორც მასპინძელი ქვეყნის გუნდი.

ვაჟთა ასპარეზობის ფინალში მონაწილეობენ სსრ კავშირის (მიუხედავად შეჯიბრების შედეგისა, როგორც თასის მფლობელი), პოლონეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის (მასპინძელი ქვეყნის გუნდი), გდრ-ის, ფინეთის, გფრ-ისა და იტალიის კოლექტივები.

ფინალის საგზურებისთვის ქალთა გუნდები იბრძოდნენ ბუდაპეშტში, სოფიასა და ლიუდენშაიდში (გფრ), ვაჟები — ლონდონში, ტურინსა (იტალია) და ლაიპციგში (გდრ).

საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა, რომლებიც ბუდაპეშტში ასპარეზობდნენ ნახევარფინალურ ჯგუფში, დამაჯერებლად მოიგეს შეჯიბრება.

უნდა აღინიშნოს, ბრიანსკელი ს. ბელოვას წარმატება, რომელმაც ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში — 23,2. თავი გამოიჩინა მოსკოველმა ს. კრაჩევსკაიამ, რომელმაც ყველაზე შორს ჰკრა ბირთვი — 20,60 მ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა მოსკოველმა ფ. მელნიკმა ბადრო 67,62 მეტრზე ტყორცნა. 400 მეტრზე რბენაში კ. კეფერთან (ავსტრია) დაძაბულ ბრძოლაში მოსკოველმა ნ. ილინამ 51,6 აჩვენა (კეფერის შედეგია 51,4). რუმინელმა ი. სუმანმა 800 მეტრის გარბენას 2.00,2 მოანდომა.

სოფიაში გდრ-ის სპორტსმენმა ქალებმა 13-დან 11 სახეობა მოიგეს. როგორც მუდამ, გამოირჩეოდა ოლიმპიური ჩემპიონი რ. შტეჰერი, რომელმაც ყველაზე სწრაფად გაირბინა 100 და 200 მ (განსაკუთრებით იმარჯვა მეორე დისტანციაზე — 22,6). მ. ადამს და ი. ხრისტოვას მძლეოსნობის ისტორიაში მესამე და მეოთხე შედეგები ჰქონდათ, როცა ბირთვი 21 მეტრს გადააცილეს. მათ განაახლეს რეკორდები: ადამმა — გდრ-ისა (21,42, სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში), ხრისტოვამ — ბულგარეთისა (21,09). მ. ვერგოვამ (ბულგარეთი) ბადრო 66,98 მეტრზე ტყორცნა.

ლიუდენშაიდში სხვებზე უკეთ გამოვიდნენ პოლონეთის სპორტსმენები. ი. შევინსკამ გაიმარჯვა 100 და 200 მეტრზე რბენაში (11,23 და 22,96). ოლიმპიურმა ჩემპიონმა უ. მაიფართმა (გფრ) 185 სმ სიმაღლე გადალახა.

ვაჟთა შეჯიბრებაში შედეგების დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე ქალთა ასპარეზობაში. ლონდონში თავი გამოიჩინეს ზაპოროჟიელმა ვ. დმიტრენკომ, რომელმაც ურო 76,88 მეტრზე ტყორცნა (უკრაინის რეკორდი), ლენინგრადელმა ნ. კოლესნიკოვმა, 100 მეტრის გარბენას 10,66 მოანდომა. სამი გამარჯვება — 200 და 400 მეტრზე რბენაში, აგრეთვე, 4×400 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა ინგლისელმა დ. ჯენკინსმა. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა, შვედმა ა. გერდერუდმა 8.19,2 აჩვენა.

ლაიპციგში ყველას აჯობეს მასპინძლებმა — გდრ-ის სპორტსმენებმა. უნდა აღვნიშნოთ 19 წლის ო. რაის ახალი გამარჯვება დიდ შეჯიბრებებში (100 მ — 10,37). რ. ბელშმიდმა 220 სმ სიმაღლე გადალახა. ფრანგმა გ. დრიუმ 110 მეტრზე თარჯრბენში 13,43 აჩვენა.

ტურინში, სადაც I ადგილი 6 მონაწილე გუნდს შორის გფრ-ის სპორტსმენებმა დაიკავეს, ევროპის ჩემპიონმა პ. მენეამ (იტალია) 100 მ 10,20, ხოლო 200 მ 20,23 წამში გაირბინა. 22 წლის ბელგიელი ა. ბრიდენბახი საუკეთესო იყო 400 მეტრზე — 45,25.

მსოფლიო რეკორდსმენმა კ.-ჰ. რიმმა (გფრ) ურო 77,58 მეტრზე ტყორცნა. სამხტომში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის გუნდის წევრს ვ. ფიშერს — 16,61 მ.

(საქტესის კორ.).



# მარსელის ფიცარნაგზე

მარსელში დამთავრებულ იუნიორ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში ქვემძიმე წონის საბჭოთა ათლეტმა საიდულაევმა თანატოლთა შორის მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაშიც — 192,5 კგ. ამავე წონაში ორჭიდში III ადგილზე გავიდა მეორე საბჭოთა ძალოსანი ჩიჟოვი — 310 კგ (140+170).

მეორე მძიმე წონაში გაიმარჯვა პოლონელმა კოლიმოვსკიმ: საშუალო შედეგით — 355 კგ (160+195). II ადგილზე გავიდა ვიცკე (გდრ) — 337,5 (150+187,5). ბრინჯაოს წილად ხვდა ლეგალტს (კანადა) — 310 (157,5+152,5).

# საბჭოთა ავტომრბოლელთა წარმატება

**ვარშავა, 14 ივლისი.** (საქტესი). 35-ე საერთაშორისო ავტორალი, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ტარდებოდა და კვირის დამთავრდა ვროცლავში, მოიგო საბჭოთა ავტომრბოლელთა ნაკრებმა გუნდმა. გამარჯვებული „ავტოექსპორტის" მიერ იყო აღჭურვილი.

საბჭოთა ავტომობილისტები პირველობდნენ საკლუბო გუნდების შეჯიბრებაშიც.

სსრ კავშირის მრბოლელებმა „ჟიგულის" მარკის მანქანებით პირველი პრიზი მოიპოვეს საქარხნო კოლექტივების ასპარეზობაშიც.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს მ. ვარინიმ და ფ. როზეტიმ (იტალია), რომლებიც „ფიატით" გამოდიოდნენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 03839